

F 24  
1888

საქონლები  
სამართლის  
სამსახური



# ს ი მ ა ტ რ ი

საყოველ-ქვირაო სალიტერატურო და სამხატვრო ჰაზეთი

1888 წელსა

№ 42—43

ნოემბერი 20

გაზეთი ღირსა: ერთის წლ. 5 მან.,  
ნახევ. წლ. 3 პ., ცალებე ს. 15 კ.  
ხელის მოწერა მიიღობა: თბილის-  
ში, რედაქციის კანტორაში. ფოთ-  
ში ხესარიონ კალანდაქესთან. ად-  
რესი გარეშე მცხოვრებთათვის: თიფ-  
ლის, ვხ რედაქციი გაზეთი  
"TEATRЪ". გაზეთი სსყიდვება:  
თბილისში, ჩარქვანის წიგნის მაღა-  
ზიაში და პ-ნ სიდეველთან—გო-  
ლოვინის პროცესში.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-  
ლები (ქორქესპონდენცია) გარეშე-  
ვთ უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-  
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-  
დაქცია შეასწორებს. რედაქცია არა  
კისრულობს წერილების უკან გაგ-  
ზანს და მათ შესახებ მიწერა-  
წერას.

ყველ წერილში უნდა იყოს  
მოხსენებული: სახელი გვარი და  
საცოვრებელი ადგილი დამწერისა

## კ ა რ ა მ უ ლ ი თ ე ა მ რ ი

პარასკევს, 25 ნოემბერს

გვერდისი

ვ. ა ბ ა მ უ ლ ი ს რ

წარმოდიქნდი იქნება

II

ახალი პიესა

== ბ ხ ბ ლ ი გ მ ი რ ი ==

ღრამა 4 მოქმ. თხ. აკაკი წერეთლისა.

II

გ ე ჯ ლ ი უ ი ი ც ა ლ ი ე ლ ე გ ი თ

ოპერეტა 1 მოქ. შუს. ოფენბახისა.

დასარ ულ იმედი. მისა დაწინა

დივერტისენტი.

## ა ზ ა ლ ი ა შ პ ე ბ ი.

---

ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი კა-  
ლისტრატე, რომელსაც ამ რამდენიმე თვის წინეთ უბედურება  
შეემოხვეა, როდესაც თოფის წამლით კლდეს ანგრევინებდა ბა-  
ლის გასაფაროთვებლად, ამ ჟამად ქალაქში იმყოფება წმ. და-  
რიის მონასტრერში. ვარძიის მონასტრერში, როგორც ხმები ისმის  
გადმოჰყავთ რუსის მღვდელ-მონაზონები. სასურველია, რომ  
ახლად დანიშნულ პირებმა ღირსეული ყურადღება მიაქციონ  
ჩვენ ძველ ნაშთებს და ისე არ მოექცნენ, როგორც მოიქცა  
ამ ხანებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართვე-  
ლობა.

—

დღეს, კვირას, ქართული დრამატიული საზოგადოების სა-  
სარგებლოდ დანიშნულია «სობრანიეში» კონცერტი, რომელ-  
შიაც მონაწილეობას მიიღებენ იპერის საუკეთესო არტისტები:  
ქვ. ზარუდნაია, ბიჩურინა, ბბ. ტარტაკოვი, შედვედიევი, იპო-  
ლიტოვი-ივანოვი და სხვ. იმედია, რომ კონცერტზე ხალხი  
ბლობმად დაესწრობა, რადგან დრამატიულ საზოგადოებას ღვაწლი  
მიუძღვის ქართულ საზოგადოების წინაშე.

—

წარსულ კვირას ქართული დრამატიული საზოგადოების  
კრება იყო, რომელზედაც განხილულ იქმნა მომავალი წლის  
ანგარიში. კრებაზე მარტო ერთი წევრის მეტი არა ვინ  
დასწრებია; ახალ წევრებად ბევრი ჩაეწერნენ.

—

მომავალ პარასკევს ქართულ დასისაგან წარმოდგენილი  
იქნება აკაკის ახალი დრამა «ეხლანდელი გმირი». დრამაში  
გამოყვანილი არიან ჩვენი თანამედროვე პირები ხასიათებით.  
პიესა დანიშნულია ვასო აბაშიძის საბენეფისოდ.



## ԱՅԵՎԱԿԱ ՋԱ ՄՅԱԾԻՆ.

Եղաթրո մանու առօս քարցո, հռօքեսաւ լուսարկեած ձգացս,  
հռօքեսաւ վարմուցցենա՞ն ուցտո ամեցու յշտու-յշտոմանցետից է պին-  
մուլո, հռմ պայլապայրո ցընօնեցի, տոտքո ցումոնաւ ցընաեռս  
ոմուտանա սպրատեծո, տոտքո մընո սայստարո նապնամեցու դա  
մեցումեցու ցամուսպուցքնեն լուսակց և տացունտ օյ-քարցունու-  
ծա ցումումեցուն. հռօքուսլա քարցո լուսարկեած, ամաչեց առսաւ առ  
մուսեցնեցա ցագուցուու և պայլաս մոյր մընսարյացուլո ցա-  
նահենո. Ցոցո ուսեսու—լուսարկեած մանու առօս քարցո, հռօքեսաւ  
Եղաթրոս ձգացս, և սալուսաւ ուց ուշուրացս տացո, տոտքո պի-  
տուուրեցու առունու և մուրամ մոմիսալցուլոն անհուլցեց տա-  
ցունտ հռօքուսառ. Ցոցուս աթրու-յու լուսարկեակց ու առօս, հռ-  
մա համացնաւաւ աջամունո նայլց պիտուուրումս տացոս պայլա-  
լուուր յշտոյերուունու, ոմքենաւ լուսարկու, սանցումու,  
սանցումու և սանցուրուլո յալու առօս պայլաս Եղալմուու. ծյուրո  
կուցք սեցա աթրու լուսարկեակց, մացրամ լուսարկու ուցտու, հռմ  
ան ալուտաս ձգացս, ան ծալուտաս, ան ալուսանաս և ան հալսանաս,  
սուլ-յու յշտուա «մալուտա-ծալուտա» ցամունու. այս հռմ ցուսաւ  
առա ցացքի հա առու լուսարկեածոս և առու Եղաթրոս և մարտու  
ամ սեցա և սեցա աթրեցս ցամուցցեցա, հռմ մընույսու համ ան  
լուսարկեածու լազուգահանուսա, ան Եղաթրու ուարժուալուսա, ու ծո-  
լուս սուլ յշտուն ցալուրոյա և ըումիսալույուտ պիտույս տացմու  
յշտուու և մյուրոյու, ույտուպումուցու ցամյուրուցս սան յշտ-  
ուս «ծիմենուս» հասարուխս, սան մյուրուսաս և սացնուս յո մանց առա  
ցուունուցք հա.

Կոմիլումենցունց յո նորաս լուսարկու-լու, հռօքեսաւ. քարցա  
հակաբուրդու յարտցըլու Եղաթրու ուարժուալուս պայլաս, մալո  
սունցուրաւ պայլապայրուատ սպրատո ույտուպումուսա և պայլարաս ցնուտ  
ցըր մումուրեցտ ցունցուս ուցալումամ ամ մասերա յշտոնցըլսա.  
«Եղաթրո մընուս լուսարկեածոս, ույցըցք լուսարկեածու նոսուցու-  
ծուտ, մացրամ հայու ուցուուն յշտելու մույուցցու ցըեսս, մընմուց  
ուցուուն մույուցումուս լուսարկեակց և ամլուս լուսարկու ույց-  
ուսառ», — ցանցուս յշտո ույտուպումու և անցուրեցուլուս սուկոյասա, և

იქვე მეორე თუთიყუში გაიგძლებს კისერს და დაკურავს კვერსა, თითქო მართლა ესმოდეს თავის მობასის რახირუხი. ცუთველი კეთილ-გონიერი და პატიოსანი კაცი მთელს თავის ღონებს უნდა ჰქმარობდეს ცხოვრების გალაზათიანებაზე და ემსახურებოდეს საზოგადოებასა, რადგან საზოგადოების სიკეთე ბედნიერებაა ყველასთვის საკუთრივ. თეატრი ალაზათიანებს ცხოვრებას. მაშასადამე, ყველანი მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ თეატრსა, რომ თეატრმა ხელი შეუწყოს ცხოვრებას და ამით ცხოვრებამ ხელი შევეიწყოს ჩვენ ყველასაო», გაიძახის მესამე თუთიყუში კარგად გაზეპირებულს სიტყვებს, და მეოთხე თუთიყუში ამ დროს იგონებს დაზეპირებულსაც სიტყვებსა, რომ ჯეროვანის პასუხით გაისტუმროს თავისი მოპირისპირე. მეტყვით—განა ასეთი შეხედულება თეატრზე და საკუთარს მოვავალეობაზე თუთიყუშობა არისო და თანაც, უფრესელია, გამიწყრებით, რომ მე, ვიღაც უცნობი, ამისთანა უწმაწურ სიტყვებს მოგახსენებთ ჩვენის საზოგადოების წარმომადგენლებზე. რაეჭნა თქვენი ჭირიმეთ. მე უკან არ დაეიწევ. ხმალი თქვენი და კისერი ჩემი. მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ მე არაეისი წყენა არა მაქვს სახეში, როდესაც „ამისთანა უწმაწურ სიტყვებსა“ ეხმარობ. ჩემი აზრი ასეთია ჩვენს ვინაობაზე და თვით ფაქტებმა დამარწმუნებს, რომ ეს სწორეთ ასეა, რომ ჩვენ მხოლოდ თუთიყუშებივით ვიმეორებთ სხვა და სხვა ექვნიან ფრაზებსა და ვერ მოვეიხერხებია, რომ ამ ფრაზებს გავსცდეთ ცოტათი მაინც. ჩვენ რომ მართლა გვესმოდეს ფასი და მნიშვნელობა თეატრისა, მაშინ ჩვენი საქციელიც შეთანხმებული იქნებოდა ამ სმენასა და გაგონებასთან. მაგრამ საქმე ის არის, რომ შესმენაზედაც და გაგებაზედაც ძალიან უკაცრავად განდაგრით.

მოიგონეთ თუნდ შარშანდელი ჩვენი ხალისი თეატრში სიარულისა და შეადარეთ წლევანდელს. ამ მიზეზი იყო, რომ შარშან თითქმის ყოველი წარმოდგენა საქსე იყო ხოლმე ხალითა, რითი აპისნით იმ ამბავსა, რომ წლის ნახევარზე მაინც სკამები ცარიელობენ! იმას ხომ ვერ იტყვით, რომ შარშან უკეთესს პიესებსა თამაშობდნენო. იგიც «ხათაბალა» თუ «ბა-

ლახათა», იგივ 『თამარ-ბატონიშვილი», თუ 『ბატონიშვილი თამარ» და სხვები, რომელთაცა თამაშობდნენ შარშანწინაცა და იმის წინაც. იქნება მიზეზი ის იყოს, რომ შარშან უკეთესი არტისტები ატეპობდნენ ჩვენს მხედველობასა და სმენას? მაგრამ, არა, როგორც პიესები, აგრეთვე არტისტებიც თითქმის ხელუხლებლად დარჩინენ შარშანდელნი, შარშანწინდელნი და იმას წინდელნი.

რომელი მიზეზიც უნდა დასახელოთ, ბოლოს გამოდის  
რომ მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლია და სხვა არაფერი... შარშან  
უფრო დავიარებოდით თეატრში, ვიდრე წელს და წელს თეატრში  
შესვლაზე წელი გვწყდება ხოლმე. რათა გვწყდება წელი, როდე-  
საც სიხარულით უნდა მიიმტრევდეთ თავ-პირს თეატრისაკენ,  
თუ კი მართლა გვინდა მისი დახმარება და გეწყურიან მისი  
წარმატება. აი ეს არის საკითხი, და თუ პირუოვნელად, გულ-  
მართლად მოექცევით საქმეს, უნდა აღიაროთ, რომ ჩვენი დამ-  
ლუბავი არის ჩვენივე თუთიყუშობა, რომ ჩვენ გავეიგონია აღია-  
მომკდარაო და ის კი არ გამოგვიყითხნია, რომელი აღია,  
სად და როგორ მომკვდარა. შევეიტყვია, რომ განათლებას  
მისდევს მაღალ სიამოვნებათა ძიება, მაგალითად, თეატრი, ლი-  
ტერატურა, გონივრული სალაყბო და სხვანი, და ის კი აღია  
მოგვეონებია, რომ ჯერ რიგიანად ჩაგვეხედნა თვით განათლე-  
ბაში, დაწაუებოდით იმის სიკეთესა, და მერე თეატრიც, ლი-  
ტერატურაც და ბეჭრიც სხვა თავისთავად მოჰყევებოდა ამ გა-  
ნათლებას, გავეეხსნებოდა უმაღლესი და უკეთესი გემოვნება.  
რადგანაც განათლებისა ჩვენ მარტო სუნი გვეცა ცხვირში და  
მეტი არაფერი, ამიტომ ვამჯობინებთ მუშტიკრივსა, ყომარბაზო-  
ბას, ქალალდის თამაშსა, შარმანკასა და უფრო კი ქეიფებს.  
შიზეზიც ეს არის, რომ როდესაც ჩამოვარდება სიტყვა რომელ-  
სამე საქეუნო საქმეზე, მაშინვე ცველანი, ღარიბნიცა და მდი-  
დარნიც მოგვევბით ხოლმე ჩივილსა და ტირილს, რომ შეძლე-  
ბა არა გვაქვსო, ძალა ვერ შესწევს სურვილსაო, რაც რამ გვე-  
ბადა—გავიღეთ, გავტყავდით, აღარა გვაქვს-რაო, და ამავე ღრის-  
იგივე მტრირალნი და მოჩიტრნი მოელს ჩვენს შეძლებას ვახმ-  
არებთ ათას ნაირ სისულელესა და ამაობებას.

შარშან გვევონა, ეს არის გაგლებისა ბედი, უმაღლეს სია-  
მოვნებათა გემომ ფეხი აიდგა ჩვენში, ველარც უთეატუროდ,  
ველარც ულიტერატუროდ ვერ გავძლებთ, ნადირულ ცხოვრე-  
ბას ველარ აფიტანთო. გაგვიტყუა ამ მოქვენებამ, შევხურდით  
ჩვენცა და ავიყოლიეთ სხვებიც. მაგრამ სულ რამდენსამე თვეს  
ძლიერ შეგვევა ეს შეხურება. გავიდა ზაფხული და წლევანდელ-  
მა სეზონშა რა მოგახსენოს თვის საკვირველის უფერულო-  
ბით.

იტყვით—კამიტეტის ბრალიაო, სული ვერ ჩაუდგავს საქ-  
მისთვისაო. დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს სული აკლია და  
სული უნდა ჩაუდგას როგორმე. მაგრამ განა კამიტეტს შეუძ-  
ლიან სული ჩაუდგას უსულოს? გინდ ეგეც არ იყოს, თვით  
კამიტეტი ვიღარი ბრალია? განა ჩვენი ბრალი არ არის! განა  
ძალას გვატანდა ვინმე—უთუოდ ეგენი ამოირჩიეთ და სხვები  
არამც და არამც არ შეუშვათო! როგორიც ერიო, იგეთი ბერიო,  
როგორიც ალხანა, იგეთივე ჩალხანა. რა ლიკსებისანიც ჩვენა  
ვართ, ამორჩეულნიც ისეთები გვევანან. აქ მეტი ლაპარაკი რა  
საჭიროა, ჩემო ძამიავ.

თუ კი უცელაფერი კამიტეტზე ეკიდოს, მაში ბ-ნ ფორკა-  
ტის თეატრი მუდამ გაჭედილი უნდა იყოს ხალხითა, ამიტომ  
რომ კამიტეტს იმის მეტი არა შეუძლიან-რა, რომ რიგიანი პი-  
ესები არჩიოს და შესაფერი არტისტები გამოიყენოს სცენაზე.  
ჩვენა ეხედავთ, რომ ბ-ნი ფორკატი არა ვითარს მეცადინეობას  
არა ჰიოვავს, რომ პიესებიც წარჩინებული ამოიღოს ნიშანში  
და არტისტებიც ნიჭიერნი იყოლიოს. თეოთონ დიდის საარტისტო  
ნიჭით მიმაღლებულმა, ბ-ნმა ფორკატიმ, ლამის უკანასკნელი  
პერანგიც-კი გაიხადოს, რომ საუკეთესოდ მოაგვაროს თავისი  
წარმოდგენები. სინიღისის ქვეშ უნდა ესთქვათ, რომ ყოველი  
მისი წარმოდგენა შესანიშავის მწყობრობითა და ლაპათით  
მიმდინარეობს,—მაგრამ თეატრი კი მაინც თითქმის ყოველთვის  
ცარიელია

მეტყველი—ფორკატის თეატრი რუსულია და ჩვენს თეატ-  
რთან მოსატანი არ ირისო. მართალია რუსულია, მაგრამ-  
მაინც მოსატანია და ძალიანაც მოსატანი. ერთი და იგივე მი

ზეზი ჰმოქმედობს საშინელის სიმძლავრით, რომ ქართულსაცა  
და რუსულ წარმოგდენასაც ვერ უშოგნიათ ბაზარი, არ აქვთ  
გასავალი ჩევნს ჩამორჩიმილ ქალაქში, რომ ხალხი ეტანება  
უფრო ქვენა სიამოგნებას და ვერ შეუტყვია გემო სხეა გვარ  
გასართობებისა—გაურბის თეატრს.

თუ მაგრე იყოსო, მაშ აპერა როგორ ახერხებს სიცოც-  
ხლეს ტფილისშია, მკითხავენ. ვაი მაგისთანა მოხერხებას და  
მაგეთ სიცოცხლეს, რომ წელიწადში თითქმის ხუთი ათასი თუ-  
მანი სუბსიდია ეძლევა მთავრობისაგან და სული კბილით კი  
მაინც ძლიეს უჭირავს. მაგისი ნახევარი სუბსიდია რომ ბ-ნ  
ფორკატისა ჰქონდეს, იმისი თეატრი ათჯვრ მაინც უკეთეს დღე-  
ში იქნებოდა, რაღან ჩევნის საზოგადოებისათვის ღრამას გა-  
ცილებით მეტი აზრი აქვს, ეიდრე აპერას; აქაურ შუათანა კაცს  
დრამა უფრო ესმის, ეიდრე აპერა, იმიტომ რომ მუსიკის ცოდ-  
ნა ძრიელ უსუსურს ყოფაშია ჩევნ შორის.

ქართულ თეატრის საქმე კი ისეა, რომ არც კამიტეტი  
გვყავს კარგი და ვერც გვეყოლება, ამიტომ რომ კამიტეტის  
წევრნი არიან ძვალნი ძვალთა ჩევნთანი და ხორცია ხორცთა  
ჩევნთანი; ხეირიან პიესებს ჩევნ არ ვარღვენთ, რაღან არტის-  
ტები ვერ შესწოდებიან როლებსა, და საზოგადოება კიდევ ისე-  
თია, რომ მარტო თუთიყუშივით იმეორებს სიტყვებს თეატრის  
საჭიროებისას და წარმატებისას, ხოლო საქმით ფეხებზე ჰყიდია  
თეატრიცა და ცხოვრების გამოკეთებაც. დიახ, ჩემო ბატონებო!

უცნობი.

### ს უ რ ვ ი ლ ი.

(გადმოთარების რუსულიდგან).

და, ნეტავ ფრთები შემასხა,  
ჩიტი მქნა თავისუფალი,  
კით რომ ისარი მათრინა  
მტერმა კერ მამკრას მე თვალი.  
სამშობლო მხარეს დამსა მე—

სად ედი მწერედ ბიბინებს,  
 სად მიწას ჩიჩქნას ოქოჭით  
 მოძმე და ტებილად ღიღინებს.  
 იქ, ტემი, ათას ნაირად  
 ფრინველთა ისმის გაღობა;  
 არის შემგუდი მთა, ღელი,  
 ბღომად არს ღვთისა წყალობა.  
 სად თავისუფლად შეკიძღუბ  
 გულის გამლასა სუნთქვასა,  
 და დავივიწებ ამ ღღეთა  
 მწარე ტანჯვასა, სულფმასა.

„ლო“.

## კ ე რ ე ბ ა

ღმერთო! მაღალო! შენ გვედრებ,  
 მისმინე ესე გეღრება,  
 რომელს, ამ შეეუნად, ჩემთვისინ,  
 აუ არავერი ედრება!  
 ღმერთო! მომისპე სიცოცხლე  
 უწნო და უგემურია,  
 რადგან კვრებობ ტებილი სიამე  
 ჩემთვის არს დაკარგულია.  
 შემძელდა ხალხი ცბირი,  
 შემძელდა შეენიერება,  
 კედრ განჭერნავს ამ წელულს ბულს  
 ბუნების შეენიერება,  
 კედგანა კედიმ ღალატსა,  
 არ კისგანა მაჭეს გატანა,  
 მომეზრდა ტიალ სიცოცხლე,  
 მწარედ გიტანჯვი მისგანა.  
 ხანდის-ხან გაბრაზებული  
 მწად კარ დავიცე გულს დანა

და გამოვიხსნა მე თავი,  
ამ გვარ სიცოცხლისძანა.

ეს უსამართლო სოფელი

სისარულს მომცემს მე განა?

ორს უკადას სძრახვენ,

სჭროვენ, მა კარ მისულა დასთანა.

კატო

### მოსწრებული სიტუაცია

შეკრევილი დ. აწყურელისაგან.

მამასა და შვილს ერთ თახაში ეძინათ, მამამ გამოიღია და  
ჰქოთხა თავის შვილს: «კერ კიდევ არ ამდგარსარ?.. რამდენჯერ მი-  
თქვამს შენთვის, რომ მარტო იმას შეკვის და სარჩეოს აღდევს  
ღმერთი, რომელიც უფრო აღრე ღგება: აგე, გუშინ კანო ადრე ამ-  
ღგარა, წასულა და ერთი დიდი ქისა ფული უპოვნა; შენ თავის  
ღღები კერ ედისტები ამასთანა საჭმეს.

შეილი. ეგ იმას ნიშნავს(გადაბრუნდება და ამთქარებს) მამა  
ჩემთ, რომ კისაც ის ქისა დაუჭრებას, კანოზე უფრო აღრე ამ-  
ღგარა.

წეულობის დროს ერთი სომეხი გაუწევეტლივ მღერის ა-ა-ა-ა!

მეორე იავრობეზრებული ჰქოთხავს: «გეოა!

— რა არის?

— შენი სიძღვრა გესმის?

— კა, როგორ არ მესმის.

— მაშ გაჩემდი რადა!

რეინის გზის სადგურზე, რამოდენიმე უმაწილი კაცი მატარე-  
ბელს ედოდება. ერთი მათგანი წინ-და-უქან დადის დარბაზში და  
უოელ გაულა-გამოვლაზე სარგები იყურება. გამიგონეთ! უთხრა ამ  
სანაგამა,—თქვენ გეტულიათ ძალიან მოსწონისართ თქვენ თავს, რომ  
სულ სარგები იყურებით?

«სრულებითაც არა» მიუგო პირველმა. «მე მარტო თქმისაა კოდილობ, რომ მანამ თავისუფალი დრო მაქეს პატიოსაან კაცს უუგორ.

«წარმოიდგინე, მე კნახე ისეთი კაცი რომელსაც საშინელი სურ-  
გოლი აქვს გახდეს ცალ თვალი.»

— აბა რა დასაკურიზელია?

— მოდი დაგნაძლევდეთ, რომ ეს მართალია!

— ძაღლიან კარგი, თითო თუმანი იუთს სანაძლეო, მიუგო მეო-  
რებ.

— თანახმა კარ! ამის სურვილი აქვს უსინათლოს.



## სიმართლის მოყვარული.

კომედია ერთ მოქმედებად.

(თარგმანი)

მოქმედნი პირნი:

ჰავლე, ნასწავლი ქერიე.

სვიმონ, სამსახურიდგან გადამდგარი.

ბარბარე, ამისი ცოლი.

არჩიდლი.

ნინო, გამდელი.

სიკო, პაელეს მოსამსახურე.

გამოსვლა მეხუთე.

ჰავლე და სიკო.

სიკო. რას მიბრძანებო?

ჰავლე. გამოუტხადე ყველას, რომ ეს კაცი ჩემი მეგობარია,  
რომელიც ჩემთან იცხოვრებს და რომლისაც ისე უნდა  
გეშინოდეთ, როგორც ჩემი.

სიკო. ბატონი ბრძანდებით.

პავლე. სად არის ჩვენი დედაკაცი?

სიკლ. ბაზარში განვითარებული ექსპორტი ეს იყო გიანგო.

ჰავლე. მოგეიმზადოს საუზმე და მე ეხლავ გამოვალ (გადია). არჩილ. ეს კარგი ძმობილი ჩაეიგდე, მაგრამ მცონია რომ

ცოტა ხნობით კი; ჩემი ახალი მეგობარი, როგორ-  
ლაც ჭევაზედ არ უნდა იყოს. ხან თითქო ჭევიანურს სიტ-  
ყვას იტყვის, მაგრამ ხანდანი კი ძალიან შეუწევს ხოლ-  
მე. მე მონია, რომ ეგ სულ ფულის ბრალია, მდიდარს  
კაცს რამდენი მაგისთანა სულელური აზრი გაუვლის ხოლ-  
მე თავში...

გამოსვლა მემბრ.

იგივე და ნინო.

ნინო. ვინ იცის ვინ შამოაკედლა ამ ჩეკნმა სახლის პატრონმა...  
ღმერთო ჩემო, ვისა ვხედამ?

არჩიოდი. ანუ ივანოვნა!

ნინო. არჩილ ევ ჩოგორ, საიდამ, მართლა შენა ხარ?

არჩილ. მოიცა, მომაფიქრებინე... როგორ გასუქებულხა!

ნინო. შენ კი ჩემთვ ლამაზო, ძალიან გამხდარხარ და!

არჩილ. ეს, კაცი ცოცხალი იყოს თორებ სიმსუქნე არაფერია.

ნინო. მაშ ეს თქვენა ბრძანდებით ახალი მეგობარი ჩვენის ბატონისა, რომელსაც ეს ძალიან გაქებდა.

არჩილი: მაშ ეს ოქენა ბრძადებით ამათი ეკონომიკა, რომელ  
საც ესე გლანძლამდათ? ერთი ეს მითხარ: სად არის შენი  
ქმარი?

ნინო. ეჭ, სად არის... ამ მეორე წელიწადია ჩაც ქვრივათა ვარ.

არჩილი. შენი კირიმე, მართლა? უჰ, მადლობა ღმერთს ძლიერს  
ასე...

ნინო. ეს, ნულარ იგონებ შენ გენაცვალე... რომ იცოდე რავ-  
დენი ტანჯვა გამოვიარე. შენ, დაეიჯერო აქამდის უც-  
ლო ხარ?

არჩილ. როგორ, განა მე ჩემს სიტყვას გადავალ? განსომა-

რომ გეთხოვებოდი და გეფიცებოდი არ გიღალატებ მეოქი,  
ა შენი ბეჭედიც ჯერ არ წამიძერია თითიდამ და არც სხვას  
გავიკეთებ თავის დღეში. ახლა რას პირობ, შენ ქრისი  
და მე უკითხო, პირობა-პირობაა.

ნინო. რა თანამდებობა მოგცა, ბატონშა?

**අත්තියුදා.** අනුග්‍රහී, මුදා මාර්තාලු ගිලුපාරාජු; මාලුවන සු-  
ලුප්පා යුතුපිලා තැවෙන්මා මිශ්ච; මග්‍රාම ගුරුතිස මේරිට මා-  
ලුවන මාර්ලුපුද්ධාලු පාර, තුම ජ්‍යෙනි තාවු කිදුව මැපුවුනිනා.

ნინო. მაში იცი, თუ მართლა გადასწყვეტე აქ დარჩიმა, ნუ ეტკუ თუ მე და შენ წინადაც ვიცნობდით ერთმანეთს!

ଅର୍ଥିବ୍ଲୋ. କାହିଁବି?

ნინო. იმიტომ, რომ ეგონება ჩემი ბრალია და მე შემოგიყინე ამ სახლში, ორივეს გაგრეკაშ.

არჩიდუ. როგორ, მაშინ მე ტყუილი უნდა ესთქვა? არა, არ შე-  
მიძლიან; ეხლა ეს იყო ფიცი მივეცით ერთმანეთს...

**ნინო.** ახლა, რო გავიგია ტყუილი არ ვარგაო, განა მართლა  
ეგრე, განა ყოველთვის არ ვარგა. აი ეხლა მაგალითად

ବ୍ୟାକୁଲିକଲ୍ସ ମହିନେ

ପ୍ରକାଶ ଓ ମେଲ୍‌ପତ୍ର ଦ୍ୱାରା

ତେବୁଣ୍ଡି. ଓତେ, ଏମାତି କୁଳ୍ଲେପ ଦ୍ୟାଖୁର୍ମ୍ୟବିନାତ?

ნინო. უი!

**პაკლე.** მესმის, მესმის, გარიგებდა განა, ჩემი მხარე გეჭირო-  
სო და ერთად ვატყუოთ ხოლმეო?

ნინო. მალე გავიდი!

**პავლენა:** მითხარი ჩას გეუბნებოდა, არ მომატყუო!

არჩიოთ. ეს მეუბნებოდა... რომ... არა... მოხვედა...

ნინა. მე ვთხოვდი ომ უთქვენოთ წასულიყვნენ საუზმეზე,  
ბარონიკ ქლევ მობრძანდება მეთქი.

**ତେବେନୀ.** ଆମ ହେଠିଲ ମେଘଦୁରାଧିକ, ଏହି ଗପକାର ଫିଲୋ ତ୍ଵାଳ-ପୁରୀରେ  
କେବୁ ଜ୍ଞାନଦା ମେତଜୀଃ ଦାମିଚ୍ୟତ ତ୍ୟ ଆମ ଲାଭାରାକୁ ତିର୍ଯ୍ୟାଲୀସେ  
କିମ୍ବା ଉତ୍ସାହିତ ତେଜି ଆହା?

**ଅର୍ଥିତ୍ତ.** ଆହା, ମେ ରାଷ୍ଟ୍ରପତି ପାତ୍ରମାତ୍ର ଦାମିକ କାର୍ଯ୍ୟ ଫେରିବାରୁ  
ଜ୍ଞାନଦା ପାଇଁ.

**ନିର୍ବିକ.** (ଖ୍ୟାତ) ଏହି ଏହାତି ପ୍ରୟୁଷିଲୀ କେବି ତେଜି!

**ତେବେନୀ.** ରାମ, ରାତ ଗପକାରା? ରା ଗାନ୍ଧିତାଲିଙ୍ଗି?

**ଅର୍ଥିତ୍ତ.** ଆମୁଖୀରୀ, ମ୍ୟାତକ ରାଷ୍ଟ୍ରମେଲି ଲ୍ଯାନ୍ତି ଉତ୍ସାହିତ,  
ଲମ୍ବରିତା ହେଠିଲ ଏହି ମେଘଦ.

**ତେବେନୀ.** ରାଜୀତକା ଜ୍ଞାନଦା, ଅଧିକ ମାନିତା ଫିଲୋଲିପ ଦା ତ୍ଵେତରିପ  
(ଶାଲିକ ନିର୍ବିକ) ଲମ୍ବରିତା ହେଠିଲ ରାଷ୍ଟ୍ରପତି ପର୍ବତୀରେତ କାମା  
ଅମିସତାନା ଜ୍ଞାନାଲୋକ କିମ୍ବାତ ରାମ କାମି ଗାନ୍ଧିତାଲିଙ୍ଗି,  
ରା ଜ୍ଞାନଦା ପାଇଁ? ଆମ ହେଠିଲ ମେଘଦୁରାଧିକ ମାନାମ ଶେବ ଜ୍ଞାନମରି କିମ୍ବା  
ଶେବ, ମେ ଏହା କାମତାନ ଜ୍ଞାନଦା ମିଶିଲେ ଦା ମାଲ୍ଯ ଦ୍ୟାବନ୍ଧୁନ୍ଦେଶୀ  
ଦେଶୀ. ରା ଉତ୍ସାହାତା ମାଜ୍ବୁ ଅନ୍ତରୀ ଗାଲିଶତ୍ତୁକି ଦା ତାରୀକିପ  
ରାଷ୍ଟ୍ରପତିରାକୁ ଦ୍ୱାରାପିତ ଗାନ୍ଧିତାଲିଙ୍ଗା; ଶାଦି ଏହାତି ଆମିତା ତାରୀକି  
ଶେମରିମିତା କାମନାଦଶି ନାହେ ବାଦମି.

**ଅର୍ଥିତ୍ତ.** ଏହି ଶାତମାଣ ଏତୁ ପ୍ରୟୁଷମାଦି ଅମିତିରେ କାନ୍ଦିଲିକାନ ଶିଖିବାରେ  
(ଶାଲିକ) (ଶାଲିକ).

**ତେବେନୀ.** (ମିଶିଲେ ଶାର୍କ୍ଷିତାନ) ଜ୍ଞାନଦା ଉତ୍ସାହିତାରେ ଫିଲୋଲିପ ପାତ୍ରମାତ୍ରା  
କ୍ଷେତ୍ରପତିରେତାନ ଦା ମାନିତାରେ ଗାମିନୁପଥାରି, ତାରୀକି ଦରିଦ୍ରୀ  
ଦାମାର୍ଜନେତାରେ (ଶେମରିମିତା ଶିଖି).

### ଗାମିନୁପଥ ମେରୁପ

### ଶିଖି.

**ଶିଖି.** ଶାତମାଣ! ପାତ୍ରମାତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରପତିରେତାନ ଗାମିନୁପଥ ଦା ତକ୍ଷେତ୍ରି ନାହେ  
ଶ୍ରୀରା.

**ତେବେନୀ.** ପାତ୍ରମାତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରପତିରେତାନ? କ୍ଷେତ୍ରପତି?

**ଶିଖି.** ଆହା ଶାତମାଣ, ମାନିତାରେ ଗାମିନୁପଥ.

გამოსვლა მეცნე.

იგინივე და ბარბარე.

**პავლე.** (მიეტებება) ვარეარა პეტროვნა განა რით დავიმსახურე, რომ თქვენ ჩემთან მობძანდით.

**ბარბარე.** მე მხოლოდ ერთი წუთითა ვარ მოსული.

**პავლე.** ა, ეგ ერთი წუთი ჩემთვის ისეთი ბედნიერებაა, რომ მელსაც თავის დღეში არ მოველოდი.

**ბარბარე.** ძლიერ ჩავიგდვ დრო, როდესაც ჩემი ქმარი ჭინ არ არის, რა უნდა მომახსენოთ. დღეს იყო თუ არა ჩემი ქმარი თქვენთან?

**პავლე.** გახლდათ.

**ბარბარე.** ფულები გესესხათ განა?

**პავლე.** (იქთ) ერთია, ესეც მგონი, ფულისათვის გარჯილა.

**ბარბარე.** ნუ მიმალამთ, გესესხათ?

**პავლე.** დიახ მესესხა, მაგრამ ჯერ არ გადაგვიწყვეტია...

**ბარბარე.** ვიცი, ვიცი და მეც უნდა დამავალოთ.

**პავლე.** თუ კი შემიძლიან რამე ვინ შერცვენილი თქვენის ფულისთვის თავს დაიშურებს სასიკედილოდ (იქთ), ვიცი რომ ფულს მოხოვს, მაგრამ უარი როგორ უთხრა, მიბანეთ.

**ბარბარე.** თუ შეიძლებოდეს ნუ მისცემთ იმას ფულს.

**პავლე.** (გასარებული) რაო, რა ბძნეთ, დაბძანდით ვარეარა პეტროვნა.

**ბარბარე.** მაძლევთ სიტყვას?

**პავლე.** მე ბატონო ისეთ პატივსაცემათ მყევხართ თქვენ, რომ კაპეისაც არ მივცემ თქვენ ქმარს, თუ კი ამათი თქვენი სიამოვნება შეიძლება.

**ბარბარე.** იქნება არ იცით რასთვისა გთხოვთ მაგ ფულსა?

**პავლე.** იქნება სილოოთეს მიპყო ხელი?

**ბარბარე.** არა ბატონო, სულ სხვა.

**პავლე.** აა, იქნება გლალატობთ, აი ის უსვინდისო ისა.

**ბარბარე.** კიდევ სხვა, წარმოიდგინეთ, რომ გაგიჟებით უჟვარს ცხნები.

**პავლე.** ომ, სწორე მოგახსენოთ ძალიან ცუდი ხასიეთი გა-  
მოუჩენია, ახლანდელ დროში რაღა საყვარელია ცხენები,  
როდესაც ყველგან ჩეინის გზებს მართვენ.

**ბარბარე.** წარმოიდგინეთ ლამის გომურში გადაიტანოს ლო-  
გინიც და იქ დაბინავდეს.

**პავლე.** ომ, რა გულულლუტა და საზიზლარი კაცი ყოფი-  
ლა. როგორ შეიძლება თქვენისთარა მშვენიერი აჩსება  
კაცმა ოთხფეხ ცხველზედ გაცვალოს.

**ბარბარე.** რა უყო უნდა მოეითმინო; ამ წინაზე ბალისთვის  
ფულები ვსთხოვე, მე დიდი ფიცი მოშუა არა მაქესო,  
წავიდა იმ დილითვე და ცხენებისთვის კი ხამუტები ეყიდნა.

**პავლე.** ომ, რა სიბრიყე მოსვლია, თქვენთან მშვენიერი ან-  
გელოზი კი უშალოთ იყოს და ცხენებს კი ხამუტები  
ჰქონდეთ?

**ბარბარე.** ერთი სიტყვით აჩაფერს არ მიჯერებს, ამ წინაზედ  
ერთი ძალი მოიყვანეს გასასყიდათ... უნდა მოგახსენოთ  
მე ძალიან მიყვარს ძალიან...

**პავლე.** ბატონი და ვის არ უყვარს ძალლები, სად ისინი და  
სად ცხენები.

**ბარბარე.** იმ ძალლში ათ თუმანს გვთხოვდნენ, მე კი უარი  
მითხრა წაეიდა და 16 თუმნათ ცხენებისთვის ფარდავები  
იყიდა ზედ გადასაფარებლად.

**პავლე.** ოოო, წარმოიდგინეთ ვარვარა პეტროვნა, რომ თმები  
მაღლა ამდის.

**ბარბარე.** (დგება) მაში მაძლევთ პატიოსან სიტყას, რომ უარს  
ეტყვით?

**პავლე,** გაძლევთ, მაგრამ სად მიბრძანდებით? დაბძანდით!

**ბარბარე.** მაღლობთ, წაეალ, თორებმ ხომ იცით იმის იჭვნე-  
ულობა...

**პავლე.** ვიცი, ვიცი, მაგრამ მოითმინეთ პატარა ხანს, დაუსტებე  
თქვენის ლამაზი თეალებით, თქვენის კოხტა ნიკაპით,  
თქვენის მშვენიერი თმებით...

**ბარბარე.** გეყოფათ მაგდენი დაცინეა, მარტო თქვენ შეგიძ-  
ლიანთ დაიკვეხოთ მართლა მშვენიერის თმებით.

პავლე. ბიჭოს, აქამდის ვერ მიმსვდარა, რომ ეს ომები ჩემი  
არ არის, დიახ, მე...

კორ ძოშტრიცე გამოსვლა მეტაჟ.

იგინივე და არჩილ.

არჩილ. დაწყეველა ღმერთმა, ძლიერ ვიპოვნე ეს ოხერი პარი-  
კი, მთლად გადავაქოთე იქაურობა-

პავლე. ფუ, დაგწყეველა ღმერთმა, რა დროს მაგის მოტანა  
იყო.

ბარბარე. რა არის ეგა?

პავლე. ეგ... ეგ... რა სულელი რამა ხარ, რისთვის შემეტეა-  
რე მაგ შენი პარიკი?

არჩილ. როგორ თუ ჩემი პარიკით, განა ეს ჩემი პარიკია?

პავლე. მაშ ვისია?

არჩილ. როგორ თუ ვისი?

პავლე. ეს პარიკი შენთვის არ ვიყიდე?

არჩილ. ჩემთვის (იფინის) რა ოხრად მინდოდა?

ბარბარე. შეიძლება გკითხოთ, ვინ არის ეს ყმაწეილი?

პავლე. ეგ... ჩემი ახალი ლაქია გახლამ!

არჩილ. ლაქიაო?

პავლე. მე ეგ ჩემს გასამხიარულებლად ავიყვანე, ხუმარა გახ-  
ლავთ.

არჩილ. ხუმარა!!!

ბარბარე. ეტყობა სახეზე.

არჩილ. პირ-დაპირ დამცინიან თქვენმა შეგ.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნებიერიძე.